



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 37

04/06/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტისა შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 აპრილის №45/2739 წერილის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო